ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ფაკულტეტის საბჭოს 2019 წლის 20 ივნისის სხდომის ოქმი N 4

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში 2019 წლის 20 ივნისს შედგა თსუ ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის საბჭოს სხდომა.

სხდომა გახსნა ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარემ, ასოცირებულმა პროფესორმა რამაზ ხომერიკმა.

ფაკულტეტის საბჭოს შემადგენლობაშია 39 წევრი, სხდომას ესწრებოდა 23.
კვორუმი შედგა, სხდომა გახსნილად გამოცხადდა.

<u>დღის წესრიგი:</u>

1. ახალი სადოქტორო პროგრამის დამტკიცების შესახებ;
2. ცვლილებები საგანმანათლებლო პროგრამებში;
3. სადისერტაციო ნაშრომის ტექნიკური მონაცემების ინსტრუქციის განხილვა;
4. დოქტორანტების სამეცნიერო ხელმძღვანელებისა და სადისერტაციო თემების დამტკიცების შესახებ;
5. თსუ მე-11 კორპუსის #205 აუდიტორიისთვის პროფ. ვ.ჭელიძის სახელის მინიჭების შესახებ.
6. ქიმიის პროფესორთა საბჭოს მიმართვა ლაბორანტების შესახებ;
7. მიმდინარე საკითხები.

სხდომის თავმჯდომარემ, აღნიშნა რომ სხდომას არ ესწრებოდა საბჭოს მდივანი, ასისტენტ პროფესორი თინათინ დავითაშვილი და წამოაყენა წინადადება, რომ საბჭოს მდივნად, ერთჯერადად, არჩეულ იქნას ასოცირებული პროფესორი ლელა ალხაზიშვილი.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭი უყარა საბჭოს მდივნად, ასოცირებული პროფესორის, ლელა ალხაზიშვილის კანდიდატურას.

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 23, წინააღმდეგი - 0, თავი შეიკავა - 0.

დაადგინეს: ფაკულტეტის საბჭოს მდივნად, ერთჯერადად, არჩეულ იქნას ასოცირებული პროფესორი ლელა ალხაზიშვილი.

1. მოისმინეს: დღის წესრიგის პირველი საკითხი – ახალი სადოქტორო პროგრამის „პალეონტოლოგია-პალეოანთროპოლოგია“ დამტკიცება. საკითხთან დაკავშირებით ისაუბრა ფაკულტეტის ხარისხის მართვის სამსახურის უფროსმა, ასოცირებულმა პროფესორმა, თამარ ჭელიძემ. მან საბჭოს წევრებს წარუდგინა ახალი სადოქტორო პროგრამა, რომლის ხელმძღვანელი იქნება საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი, პროფესორი დავით ლორთქიფანიძე.

აზრი გამოთქვეს: პროფესორმა ბ.თუთბერიძემ. მან აღნიშნა, რომ დმანისის პალეოანთროპოლოგიურმა აღმოჩენებმა გარდამტეხი როლი შეასრულა პალეოანთროპოლოგიურ და, ზოგადად, პალეონტოლოგიურ სფეროში. საქართველო მსოფლიო სამეცნიერო კვლევების ცენტრში აღმოჩნდა და მოიზიდა მაღალი რეიტინგის მეცნიერები მთელი მსოფლიოდან. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და საქართველოს ეროვნული მუზეუმის თანამშრომლობით იქმნება რეალური ბაზა დოქტორანტების მოსამზადებლად, რაც საშუალებას

იძლევა შეიქმნას ახალი სადოქტორო პროგრამა „პალეონტოლოგია-პალეოანთროპოლოგია“. მან აღნიშნა, რომ პროგრამის განხილვა მოხდა გეოლოგიის დეპარტამენტში.

პროფ. დ.ძიძიგურმა, პროფ. ნ.შათაშვილმა გამოთქვეს მოსაზრება იმის შესახებ, რომ რადგან სადოქტორო პროგრამაზე ჩაბარების წინაპირობაა მაგისტრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი გეოლოგიაში, ბიოლოგიაში არქეოლოგიაში, მედიცინაში, გეოგრაფიაში და სხვა ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებებში, მიზანშეწონილი იქნებოდა დოქტორანტმა არჩევითი კურსი აირჩიოს პროგრამის ხელმძღვანელთან შეთანხმებით, მაგისტრის კვალიფიკაციის და სამეცნიერო თემის შესაბამისად და მას დაერქვას სავალდებულო არჩევითი კურსი.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი სადოქტორო პროგრამის დამტკიცების საკითხი აღნიშნული ცვლილებებით.

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 23, წინააღმდეგი - 0, თავი შეიკავა - 0.

დაადგინეს: დამტკიცდეს წარმოდგენილი სადოქტორო პროგრამა აღნიშნული ცვლილებებით (იხ. დანართი)

2. **მოისმინეს:** დღის წესრიგის მეორე საკითხი – ცვლილებები საგანმანათლებლო პროგრამებში. საკითხთან დაკავშირებით ისაუბრა ფაკულტეტის ხარისხის მართვის სამსახურის უფროსმა, ასოცირებულმა პროფესორმა, თამარ ჭელიძემ. მან საბჭოს წევრებს წარუდგინა განსახორციელებელი ცვლილებები ფიზიკის დეპარტამენტის სამაგისტრო პროგრამაში „გამოყენებითი ფიზიკა“ და სადოქტორო პროგრამაში „ფიზიკა“.

აზრი გამოთქვეს: პროფესორმა ნანა შათაშვილმა, მან საბჭოს წევრებს გააცნო სამაგისტრო პროგრამაში „გამოყენებითი ფიზიკა“ და სადოქტორო პროგრამაში განსახორციელებელი ცვლილებების მიზეზები და გაამახვილა ყურადღება ზოგიერთ მათგანზე.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი ცვლილებები ფიზიკის დეპარტამენტის სასწავლო პროგრამებში: სამაგისტრო პროგრამაში „გამოყენებითი ფიზიკა“ და სადოქტორო პროგრამაში „ფიზიკა“.

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 22, წინააღმდეგი - 0, თავი შეიკავა - 1.

დაადგინეს: დამტკიცდეს წარმოდგენილი ცვლილებები საგანმანათლებლო პროგრამებში (იხ. დანართი)

3. **მოისმინეს:** დღის წესრიგის მესამე საკითხი – სადისერტაციო ნაშრომის ტექნიკური მონაცემების ინსტრუქციის განხილვა. საკითხთან დაკავშირებით ისაუბრა ფაკულტეტის დეკანის მოადგილემ, ასოცირებულმა პროფესორმა ვაჟა ტრაპაიძემ, მან საბჭოს წევრებს წარუდგინა სადისერტაციო ნაშრომის ტექნიკური მონაცემების ინსტრუქცია.

აზრი გამოთქვეს: პროფესორმა დ.ძიძიგურმა, პროფესორმა ნ.შათაშვილმა. მათ შესთავაზეს საბჭოს სადისერტაციო ნაშრომის მოკლე ვერსიაში სიტყვების „თანდართული გამოყენებული ლიტერატურის სრული ჩამონათვალის“ ნაცვლად, ჩაიწეროს სიტყვები „თანდართული გამოყენებული ლიტერატურის“ ჩამონათვალი.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სადისერტაციო ნაშრომის ტექნიკური მონაცემების ინსტრუქციის აღნიშნული ცვლილებების გათვალისწინებით დამტკიცების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 23, წინააღმდეგი - 0, თავი შეიკავა - 0.

დაადგინეს: დამტკიცდეს სადისერტაციო ნაშრომის ტექნიკური მონაცემების ინსტრუქცია აღნიშნული ცვლილებებით (იხ. დანართი)

4. **მოისმინეს:** დღის წესრიგის მეოთხე საკითხი - დოქტორანტების სამეცნიერო ხელმძღვანელებისა და სადისერტაციო თემების დამტკიცების შესახებ. საკითხთან დაკავშირებით ისაუბრა ფაკულტეტის დეკანის მოადგილემ, ასოცირებულმა პროფესორმა ვაჟა ტრაპაიძემ. მან წარმოადგინა დასამტკიცებლად სადოქტორო პროგრამების „ბიოლოგია" (იხ. დანართი) და „კომპიუტერული მეცნიერება" (იხ. დანართი) სადისერტაციო ნაშრომების თემები და სამეცნიერო ხელმძღვანელები, სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის „გეოგრაფია" (იხ. დანართი) სადოქტორო ნაშრომების დაზუსტებული სათაურები (დოქტორანტებისთვის დ.მოდებაძე, ზ.გულაშვილი, ი.მეგრელიძე), აგრეთვე, სადისერტაციო ნაშრომების თემების სათაურები და სამეცნიერო ხელმძღვანელები.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა დოქტორანტების სამეცნიერო ხელმძღვანელებისა და სადისერტაციო თემების დამტკიცების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 23, წინააღმდეგი - 0, თავი შეიკავა - 0.

დაადგინეს: დამტკიცდეს დოქტორანტების სამეცნიერო ხელმძღვანელები და სადისერტაციო თემები (იხ. დანართები)

5. **მოისმინეს:** დღის წესრიგის მე-5 საკითხი: თსუ მე-11 კორპუსის #205 აუდიტორიისთვის პროფ. ვ.ჭელიძის სახელის მინიჭების შესახებ. სხდომის თავმჯდომარემ, ასოცირებულმა პროფესორმა რ.ხომერიკმა სიტყვა მისცა ასოცირებულ პროფესორს ლ. გოგოლაძეს. მან ისაუბრა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტის, პროფესორ ვლადიმერ ჭელიძის მეცნიერული დამსახურების და პედაგოგიური მოღვაწეობის შესახებ და საბჭოს მიმართა თხოვნით მისი სახელის უკვდავსაყოფად #205 აუდიტორიას მიენიჭოს ვლადიმერ ჭელიძის სახელი.

აზრი გამოთქვეს: პროფესორმა ნ.შათაშვილმა. მან მხარი დაუჭირა წინადადებას #205 აუდიტორიისთვის პროფ. ვ.ჭელიძის სახელის მინიჭების შესახებ და აზრი გამოთქვა, რომ მე-2 კორპუსის აუდიტორიებსაც მიენიჭოთ ღვაწლმოსილი ფიზიკოსების სახელები. საბჭომ ცნობად მიიღო აღნიშნული წინადადება.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭი უყარა საკითხს #205 აუდიტორიისთვის პროფ. ვ.ჭელიძის სახელის მინიჭების შესახებ.

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 23, წინააღმდეგი - 0, თავი შეიკავა - 0.

დაადგინეს: მიენიჭოს #205 აუდიტორიას პროფ. ვ.ჭელიძის სახელი.

6. დღის წესრიგის მეექვსე საკითხი: ქიმიის პროფესორთა საბჭოს მიმართვა ლაბორანტების შესახებ.
სხდომის თავმჯდომარემ, ასოცირებულმა პროფესორმა რ.ხომერიკმა საბჭოს წევრებს გააცნო ქიმიის დეპარტამენტის პროფესორთა საბჭოს სხდომის ოქმი, რომელშიც გამოთქმული იყო თხოვნა, აღძრულიყო შუამდგომლობა რექტორატის წინაშე, დღევანდელი ეკონომიკური მდგომარეობის გათვალისწინებით, ამავე დეპარტამენტის ლაბორანტებისა და უფროსი ლაბორანტებისთვის სახელფასო სარგოს გაზრდასთან დაკავშირებით (იხ დანართი).

აზრი გამოთქვეს: პროფესორმა ა, შენგელაიამ, პროფესორმა ო.მუკბანიანმა. მათ აღნიშნეს, რომ აღნიშნული პრობლემა მეტ-ნაკლებად ეხება ფაკულტეტის ყველა დეპარტამენტს. ასოცირებულმა პროფესორმა რ.ხომერიკმა აღნიშნა,რომ არსებული ბიუჯეტის პირობებში ხელფასის მომატება შესაძლებელი არ არის და თუ ფაკულტეტის ბიუჯეტი გაიზრდება, მაშინ განიხილება წახალისების მექანიზმები. საბჭომ ცნობად მიიღო წარმოდგენილი ინფორმაცია.

7. დღის წესრიგის მეშვიდე საკითხი: მიმდინარე საკითხები. მიმდინარე საკითხებში განხილული იყო:

7.1 საბაკალავრო და სამაგისტრო თემებისა და სამეცნიერო ხელმძღვანელების დამტკიცება.

7.2 აკადემიკოს ნ.კეკელიძის სახელობის ნივთიერებათა სმეცნიერო-კვლევის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორის კანდიდატურის საკითხი.

7.3 თსუ მე-2 კორპუსში მასშტაბური რემონტის დაწყებასთან დაკავშირებული ორგანიზაციული საკითხები.
7.4 სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამის „მათემატიკა“ სამეცნიერო ხელმძღვანელების ცვლილების შესახებ.
7.5 „ბიოფიზიკის“ პროგრამის დაზუსტებასთან დაკავშირებით.

7.1 **მოისმინეს** ფაკულტეტის დეკანის მოადგილის, ასოცირებული პროფესორის ვაჟა ტრაპაიძის ინფორმაცია საბაკალავრო და სამაგისტრო ნაშრომების თემებისა და სამეცნიერო ხელმძღვანელების დამტკიცების შესახებ. მან წარმოადგინა დასამტკიცებლად საბაკალავრო პროგრამების „გეოლოგია“ (იხ. დანართი), „ბიოლოგია“(იხ. დანართი), „გამოყენებითი ბიომეცნიერებები და ბიოტექნოლოგია“ (იხ. დანართი) საბაკალავრო თემების, აგრეთვე, სამაგისტრო პროგრამის „ქიმია“(იხ. დანართი) სამაგისტრო თემების სათაურები და სამეცნიერო ხელმძღვანელები.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისრაზე დააყენა საბაკალავრო და სამაგისტრო ნაშრომების თემებისა და სამეცნიერო ხელმძღვანელების დამტკიცების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 23, წინააღმდეგი - 0, თავი შეიკავა - 0.

დაადგინეს: დამტკიცდეს წარმოდგენილი საბაკალავრო და სამაგისტრო ნაშრომების თემები და სამეცნიერო ხელმძღვანელები.

7.2 **მოისმინეს:** პროფესორ ა.შენგელაიას ინფორმაცია. მან, როგორც ფაკულტეტის სტრუქტურული ერთეულების დროებითი კომისიის თავმჯდომარემ წარმოადგინა ამავე კომისიის დასკვნა აკადემიკოს ნ.კეკელიძის სახელობის ნივთიერებათა კვლევის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორის თანამდებობაზე გ.კეკელიძის დანიშვნის შესახებ. მან აღნიშნა, რომ კომისიამ განიხილა და არ დაუჭირა მხარი აკადემიკოს ნ.კეკელიძის სახელობის ნივთიერებათა კვლევის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორის თანამდებობაზე მის კანდიდატურას (იხ. დანართი).

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხი ფაკულტეტის სტრუქტურული ერთეულების დროებითი კომისიის დასკვნის დამტკიცების შესახებ.

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 23, წინააღმდეგი - 0, თავი შეიკავა - 0.

დაადგინეს: დამტკიცდეს ფაკულტეტის სტრუქტურული ერთეულების დროებითი კომისიის დასკვნა.

7.3 **მოისმინეს** პროფესორ ა.შენგელაიას ინფორმაცია. მან ისაუბრა თსუ მე-2 კორპუსში მასშტაბური რემონტის დაწყებასთან დაკავშირებულ ორგანიზაციულ საკითხებზე და ფაკულტეტის საბჭოს შესთავაზა ფიზიკის, ქიმიის, გეოგრაფიის დეპარტამენტების წარმომადგენლებისგან შეიქმნას კომისია, რომელიც ჩართული იქნება რემონტის დაგეგმვის და კონტროლის პროცესში უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან სასაუბროდ. საბჭოს წევრებმა წამოაყენეს შემდეგი კანდიდატურები:

1. ასოცირებული პროფესორი რ. ხომერიკი
2. ასოცირებული პროფესორი ი. ჩიკვაიძე
3. პროფესორი ო. მუკბანიანი
4. პროფესორი ნ. შათაშვილი
5. პროფესორი ა.შ ენგელაია
6. ასოცირებული პროფესორი ვ. ტრაპაიძე
7. ასისტენტ-პროფესორი გ. ბრეგვაძე
8. უფრ. ლაბორანტი ნ. რუხაძე
9. ლაბ. გამგე დ. დარასელია
10. რესურსების მართვის სამსახურის უფროსი ო.თაბორიძე

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა კომისიის შემდეგი შემადგენლობით დამტკიცების საკითხი.

1. ასოცირებული პროფესორი ი. ჩიკვაიძე
2. პროფესორი ო. მუკბანიანი
3. პროფესორი ნ. შათაშვილი
4. პროფესორი ა.შ ენგელაია
5. ასოცირებული პროფესორი ვ. ტრაპაიძე
6. ასისტენტ-პროფესორი გ. ბრეგვაძე
7. უფრ. ლაბორანტი ნ. რუხაძე
8. ლაბ. გამგე დ. დარასელია
9. რესურსების მართვის სამსახურის უფროსი ო.თაბორიძე

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 23, წინააღმდეგი - 0, თავი შეიკავა - 0.

დაადგინეს: დამტკიცდეს დროებითი კომისია დამტკიცებული შემადგენლობით.

7.4 **მოისმინეს:** ფაკულტეტის ხარისხის მართვის სამსახურის უფროსის, ასოცირებული პროფესორის, თამარ ჭელიძის ინფორმაცია. მან საბჭოს გააცნო მათემატიკის დეპარტამენტის ხელმძღვანელის სამსახურებრივი ბარათი, სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამების „მათემატიკა“ სამეცნიერო ხელმძღვანელების შემადგენლობაში ცვლილების აუცილებლობის შესახებ. ბარათში აღნიშნულია, რომ კონკურსის შედეგად პროფესორის თანამდებობას აღარ იკავებს ბატონი თ. ვეფხვაძე. იგი ჩაანაცვლა პროფ. მ. ბაკურაძემ. პროფესორად არჩეულ იქნა აგრეთვე ო. ფურთუხია. ბარათში გამოთქმულია მოსაზრება სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამების „მათემატიკა“ სამეცნიერო ხელმძღვანელების შემადგენლობიდან ბატონი თ.ვეფხვაძის გამოყვანისა და პროფ. მ. ბაკურაძის და პროფ.ო. ფურთუხიას შეყვანის შესახებ.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხი სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამების „მათემატიკა“ სამეცნიერო ხელმძღვანელების შემადგენლობიდან ბატონი თ.ვეფხვაძის გამოყვანისა და პროფ. მ. ბაკურაძის და პროფ.ო. ფურთუხიას შეყვანის შესახებ.

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 21, წინააღმდეგი - 2, თავი შეიკავა - 0.

დაადგინეს: სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამების „მათემატიკა“ სამეცნიერო ხელმძღვანელების შემადგენლობიდან გამოყვანილ იქნას ბატონი თ.ვეფხვაძე და შეყვანილ იქნან პროფ. მ. ბაკურაძე და პროფ.ო. ფურთუხია.

7.5 **მოისმინეს** პროფესორ დ. ძიძიგურის წინადადება განხილულიყო ბიოფიზიკის სასწავლო პროგრამებში ჩართვასთან დაკავშირებული პრობლემატიკა.
აზრი გამოთქვეს: ასოცირებულმა პროფესორმა რ.ხომერიკმა გამოთქვა მოსაზრება, რომ აღნიშნული საკითხები უნდა გადაწყდეს ფიზიკის და ბიოლოგიის დეპარტამენტების და აგრეთვე ბიოფიზიკის კათედრის წარმომადგენლების ჩართულობით.

საბჭომ ცნობად მიიღო აღნიშნული ინფორმაცია.

ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარე,
ასოცირებული პროფესორი რამაზ ხომერიკი

მდივანი, ასოცირებული პროფესორი
ლელა ალხაზიშვილი